განმცხადებელი : ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

თარიღი : 08-09-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 7;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია მთავარი არხი

სადავო მასალა : https://mtavari.tv/news/96865-rustavis-merma-40-mde-akhali-mrcheveli-dainishna?fbclid=IwAR3rxuR83L-fpcRSmrXr90GHo8OgvT4neWqqdsU0mTWUZDMHliEJEiHB6qY

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : რუსთავის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, ტელეკომპანია ,,მთავარმა არხმა“, გაავრცელა წინასწარგანზრახული დეზინფორმაცია, თითქოს ეს ადამიანები დაინიშნენ მერის მრჩევლებად. საკითხზე რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პრეს-სამსახურის რეაგირების შემდეგ, აღნიშნულმა ტელეკომპანიამ არ შეცვლა დეზინფორაციის შემცველი ჰედლაინი და შემოიფარგლა მხოლოდ მცირედი განმარტებით. შედეგად, აღნიშნული ნიუსი, არასწორი სახით გაავრცელეს სხვა მედიასაშუალებებმაც. საბჭო შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-1 მუხლის თანახმად და მისი დაცვით.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები